აბბა ალავერდელი მიტროპოლიტი დავითის სიტყვა

"გვირგვინი საღმრთო განგებულებისა გოლგოთაა – ჯვარცმა და აღდგომა. ჩვენი ერი ქრისტეს შეუდგა, ქრისტესთვის მრავალგზის ეწამა და ასე წერდა ქრისტეს ერთგულების სამშობლო ისტორიას."

კაცთა მოდგმის გამოხსნის დიდი საიდუმლოს აღსრულება ხარებითა და შობით გახდა საცნაური მსოფლიოსათვის, ხოლო გვირგვინი საღმრთო განგებულებისა გოლგოთაა – ჯვარცმა და აღდგომა.

ჩვენი ერი ქრისტეს შეუდგა, ქრისტესთვის მრავალგზის ეწამა და ასე წერდა ქრისტეს ერთგულების სამშობლო ისტორიას.

ერისა და ადამიანის ხსოვნას ღრმად აღებეჭდება მნიშვნელოვანი მოვლენა იმ დროისა და გარემოს ხსოვნით, სადაც ეს მოვლენა მოხდა. ჩვენი დღევანდელობა ისტორიის გამოძახილია. დიდი ისტორიული მოვლენები ათწლეულების შემდეგ, ყველაზე მთავარი შინაარსითა თუ ფორმით, შემორჩება ადამიანთა ყოფა-ცხოვრებას. წარსულის გადმოცემა, ასახვა, ორი სიტყვითაც და ამ სიტყვებით ჩვენთვის ისტორია ცოცხლდება. დიდი ხნის წინ XVII საუკუნეში, ჩვენი სამშობლო დიდ გასაჭირში იყო. სპარსელები დაუნდობლად ანადგურებდნენ ადგილობრივ მოსახლეობას, ეკონომიკას, მეურნეობას. ვერცხლისმოყვარეობითა და პატივმოყვარეობით სულიერად რყვნიდნენ და მონობაში ამყოფებდნენ დიდსა და პატარას. გამრავლებულიყო ცოდვა, სიძვა-მრუშობა.

ამ განსაცდელში ადამიანებს სიწმინდისა და ღვთის სიყვარული ასულდგმულებდათ. სულიერი გამოხსნისა და სამშობლოს გათავისუფლების იმედი ჰქონდათ. უბედურებას უბედურება ზედ დაერთო. გზად მიმავალი ქრისტიანი სოდომური ცოდვით შეაგინეს და რწმენას, რჯულს დასცინეს. ქართველთა მოთმინების ბოლო წვეთი და სიმწარის ფიალა აივსო. შეითქვნენ ფარულად ღვთის გულისათვის და გულმოდგინე მზადების შემდეგ ალავერდში (14/27 სექტემბერს) ჯვართამაღლების დღესასწაულის ღამისთევისა და ზიარების შემდეგ დაიწყო გადამწყვეტი ბრძოლა, აჯანყება. უფლის ცხოველსმყოფელი ჯვრის ძალით უხილავ მტერთან – ცოდვასთან – გამარჯვების იმედი და ვედრება ჯვარს მიართვეს და სამშობლოს თავისუფლება შეავედრეს. ჯვარი შეეწიათ, იომეს და გაიმარჯვეს. მრჩობლი, ორმაგი სიხარულით გაიხარეს. როგორც ელენე დედოფალსა და პატრიარქ მაკარი I-ს იერუსალიმში ცხოველსმყოფელმა ჯვარმა მკვდარი აღუდგინა და ამით მთელმა ხალხმა

გაიხარა, ისე, ჩვენი ქვეყანა ჯვრის ძალამ აღადგინა ცოდვის მონობისაგან. ჯვრის შეწევნით ბახტრიონის ციხესა და ალავერდში მდგომი ურჯულონი განდევნეს. სამშობლო მომხვდურთაგან სრულად გაათავისუფლეს

ამ დიდი გამოხსნის სიხარულმა მოიცვა ყველა. ალავერდის ძალასა და კურთხევას მადლობდნენ და ღმერთს ადიდებდნენ. ამ გამარჯვების შემდეგ ალავერდის მონასტერში დღესასწაულებზე ხშირად დოღი იმართებოდა. იმ დროს ეს იყო მეომართა მზად ყოფნის შემოწმების მიღებული ფორმა. თუ არა ალავერდობას, აბა, როდის და სად უნდა ენახათ მეომართა სიმარდე, მოხერხებულობა, სიმამაცე, საზრიანობა?! ამ დღეებში მიღებული ჯილდო და ქებისა სიტყვა _ დიდი სიხარულის გამომხატველი სიტყვა - **ალავერდი** - საუკუნეების მანძილზე გამოგვყვა ქართველებს.

„წარსულის გადმოცემა, ასახვა, ორი სიტყვითაც მოვახერხეთ, ვიტყვით – „ალავერდი შენთანა ვარ!“ და ამ სიტყვებით ჩვენთვის ისტორია ცოცხლდება.“

- ალავერდი შენთანა ვარ,

გწამდეს ღვთის, ჯვრის შეწევნის, ისე როგორც ჩვენ გვწამს – აკი კახეთს გავიმარჯვეთ!

- ალავერდი შენთანა ვარ,

გაიხარე ისე, როგორც მე მიხარია – აკი მაშინ დიდი იყო სიხარული!

- ალავერდი შენთანა ვარ,

გაიმარჯვე და იფიქრე ისე, როგორც ჩვენ გავიმარჯვეთ, აკი მაშინ ერთობამ და თანამოაზრეობამ იზეიმა სიხარული!

სიხარულით, სიყვარულით, სიმტკიცითა და ღვთის დიდებით სავსე გულით შენთანა ვართ! ამ გრძნობითა და ფიქრით ყველა ვერთიანდებით, რადგან ღვთის შეწევნის უბერებელი გამარჯვება ვიგემეთ, როგორც სხვა საუკუნეებში – დიდგორს, ბასიანს... მაგრამ ალავერდს კიდევ სხვა არის.

- ალავერდი შენთანა ვარ,

ეს იმ სიმწარის გახსენებაც არის, რაც არ უნდა დავივიწყოთ.

ქაქუცა ჩოლოყაშვილი ჯორჯაძის ქალს პარიზიდან სწერდა: „გახსოვს, თამარ, ალავერდობა?! გახსოვს, თამარ, შუამთობა?!“ მამულიშვილს ღალატით ქვეყანა დაუნგრიეს და გააქციეს, იმედი კი ვერ მოუკლეს. უცხოეთიდან ალავერდს იხსენებს იმიტომ, რომ იგია დამარცხების სიმწარისა და გამარჯვების სიხარულის ადგილი. რომ არ დავმარცხებულიყავით, არ გვეცოდინებოდა გამარჯვების სიტკბო; რომ არ გაგვემარჯვა, არ გვეცოდინებოდა დამარცხების სიმწარე.

ტკივილი და სიხარული ხომ ძმები არიან. ჩვენ ამ ძმობით მოვდივართ და მაინც ვიმარჯვებთ. - **ალავერდი შენთანა ვარ!** გიხაროდენ, რადგან აღსდგა ქრისტე და ყველა საფლავი დააცარიელა, ცხოვრება მოქალაქეობს, სიკვდილითა სიკვდილი იძლია. ამინ!

ჟურნალი „ალავერდი“ N1, გაზაფხული, 2013